

საქმე ✦ APDC



როგორ უნდა გავხდე ასოციაციის წევრი?

პირებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გაწევრიანდნენ ასოციაციაში ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე სტატუსით, უნდა მიმართონ შესაბამისი განცხადებით ასოციაციის კომიტეტს და წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება (ფორმა იხილეთ მისამართზე: www.chemistry.ge/downloads/application.doc)
- აცოციაციის სრული წევრის ორი რეკომენდაცია (ფორმა იხილეთ მისამართზე www.chemistry.ge/downloads/recommendation.doc)
- წლიური საწევრო გადასახადის ქვითარი

დაგვიკავშირდით:

☎ 335201

☎ 226810

✉ info@chemistry.ge

WWW.CHEMISTRY.GE

ASSOCIATION OF PROFESSIONAL CHEMISTS OF GEORGIA



საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია


საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია

www.chemistry.ge



მიზნები:

- ასოციაციის წევრების ხელშეწყობა და მათი ძალისხმევის გაერთიანება, რათა განხორციელებულ იქნეს ქიმიის, ქიმიური ინჟინერინგისა და მონათესავე დარგებში დასაქმებული მეცნიერების, ინჟინრების, სპეციალისტთა პროფესიონალური და შემოქმედებითი ინტერესების უზრუნველყოფის პირობა, მათი მაღალი სოციალური სტატუსის შექმნა და მხარდაჭერა;
- ქიმიისა და ქიმიური ინჟინერინგის დარგების ფართო პოპულარიზაცია;
- ქიმიისა და ქიმიური ინჟინერინგის დარგებში მომუშავე მეცნიერთა და ინჟინერთა მიღწევების პოპულარიზაცია;
- მეცნიერთა ჯგუფებისა და მეწარმეთა კონსოლიდაციის ხელშეწყობა;



მარტივი გადაწყვეტილება თქვენი საქმის პოპულარიზაციისათვის

რატომ უნდა გავხდეთ ასოციაციის წევრი?

ასოციაციის წევრობა ნიშნავს, რომ მეცნიერს აქვს:

- პირადი ვებ-გვერდი (ქართულ და ინგლისურ ენაზე) ქიმიურ პორტალზე www.chemistry.ge
- სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი ვებ-გვერდი ქიმიურ პორტალზე www.chemistry.ge
- პრიორიტეტი ასოციაციის მიერ გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციის განთავსებისას
- ფასდაკლება ასოციაციის მიერ მოწყობილ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობისას
- ასოციაციის ევდიტ არასამეცნიერო სავაჭრო ფონდებში პროექტების წარდგენის შესაძლებლობა
- ასოციაციის ევდიტ განხორციელებული აუდიტის, ექსპერტიზის და სხვა მსგავსი აქტივობის დროს მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა

ვინ შეიძლება იყოს ასოციაციის წევრი?

ასოციაციაში გაწევრიანება შეიძლება შემდეგი სტატუსით:

წევრი:

- ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ქიმიკოსის ან ქიმიკოს-ინჟინრის კვალიფიკაციის მქონე ნებისმიერი პირი, რომელიც იხდის წლიურ საწევროს;

ასოცირებული წევრი:

- ასოციაციის ასოცირებული წევრი შეიძლება იყოს რომელიმე მონათესავე დარგის სპეციალისტი;

კორპორატიული წევრი:

- ასოციაციის კორპორატიული წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელიც გაწევრიანებულია ასოციაციაში შემავალ ორგანიზაციაში ან საზოგადოებაში.

სტუდენტური წევრი:

- ასოციაციის სტუდენტური წევრი შეიძლება იყოს ქიმიური, ქიმიური ინჟინერინგის ან მონათესავე პროფილის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტი

რა ინფორმაციის მოძიება შეიძლება ქიმიურ პორტალზე?

- * მუდმივად განახლებადი ინფორმაცია მსოფლიო ქიმიური სახსრების შესახებ;
- * მუდმივად განახლებადი ინფორმაცია საქართველოში არსებული ქიმიური სახსრების შესახებ;
- * საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის წევრთა ჩამონათვალი;
- * ინფორმაცია ასოციაციის წევრებზე;
- * ინფორმაცია საქართველოში მოღვაწე ცალკეული მეცნიერისა და სამეცნიერო ჯგუფის მიერ წარმოებულ კვლევებზე;
- * საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი;
- * მოახლოებული სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კონგრესების ჩამონათვალი;
- * ქართული ავტორების მიერ გამოცემული წიგნების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების ჩამონათვალი;
- * საქართველოში არსებული იმ ბიბლიოთეკების მისამართები, სადაც შესაძლებელია ქიმიური ინფორმაციის მოძიება;
- * ბმულები ონ-ლაინ ბიბლიოთეკებთან, საერთაშორისო უფასო სამეცნიერო ჟურნალების ნუსხას;
- * სწრაფი და მოსახერხებელი ძებნის ორგანიზება ქართველი მეცნიერის გვარის, სამეცნიერო თემატიკისა და საკვანძო სიტყვების მიხედვით;
- * ქიმიური და მონათესავე პროფილის საწარმოების ჩამონათვალი;
- * ქიმიური პროფილის ვაკანსიები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საწარმოებში
- * და კიდევ სხვა მრავალი საინტერესო ინფორმაცია...

